


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 22. მაისი 22, 1894 წ. № 22

შინაარსი: კიდევ ორიოდე სიტყვა დედათა სკოლის დაარსების გამო — ქალი. — საყურადღებო ამბები. — ჭიათურის რკინის გზის კურთხევა ს. ჯ—ლისა. — სადსორიდან, ლექსი დუტუ მეგრელ სა. — ჩემი თავ-გად სავალი აკაკისა. — მოგზაურობა შვეიცარიაში საზღვარ გარეთელ-სა. — მერკურქა. ყაჩაღი მოთხრობა თარხნისა. — მესამე დასის პროგრამა: სიტყვა ჯიბლაძისა ეგ. ნინოშვილის გად ცალკებაზე — განცხადება.

## კიდევ ორიოდე სიტყვა დედათა სკოლის დაარსების გამო.



ეს ექსი წელიწადია, ყოველ ამ დროს, როდესაც ბანკის კრებები დადგება, გვეძლევა იმედები — იქნება რაიმე სასწაულით ჩვენი მომავალი დედათა სკოლის სასარგებლოთ ბანკმა მოწყალება მოიღოს და მოგვცეს ფული. მაგრამ შენს მტერს, რომ სკოლის გახსნას დიდხანს არა ეშველოს რა.

,,თუ მოგცემთ, ბევრს მოგცემთო, ცოტას როგორ გაკადრებთო — ამბობენ, ჩვენი ბანკის მეთაურები და ის ორიოდე ქალები, რომელნიც მეთაურობენ ამ სკოლისთვის ფულის მოგროვებას, ასე გვეუბნებიან: ,,სანამ სამყოფი ფული არ იქნება, საქმე როგორ დაეიწყოთო". ასე სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდნილი ამისთანა კეთილი განზრახვა, ლამის გადავეგვარდეთ და ამ ფრიად საჭირო საქმის ასრულებას ვერ ვეღირსოთ.

,,ბევრი არ მაღირსიანო, ცოტა არ მაკმარიანო". სწორედ ამ გვარ მდგომარეობაშია ჩვენი დედათა სკოლის საქმე.

მართალია ეს საქმე საერთოა ორივე სქესისთვის, მაგრამ რაღაც მანქანებით კაცებს ავიწყდებათ იგი, გულით არ ეკიდებიან, თავს არ უდებენ ამის განხორციელებას და მხოლოდ ქალების საკუთარ საქმეთ მიაჩნიათ.

მეტი გზა არ დაგვრჩენია, უნდა საერთოთ ყველა ჩვენ ქალებს ვაკისრებინოთ ძალა-უნებურად ამ საქმის ასრულება, იმდენი ვწეროთ და ვილაპარაკოთ, რომ ამათ ძვალ-რბილში გაუჯდეთ სკოლის დაარსების აუცილებელი საჭიროება. ოღონდ ქალებმა მოინდომონ ამ საქმის ასრულება და კიდეც შეიძლებენ: ხალხი ტყუილად კი არ ამბობს: „თუ დედაკაცმა გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვეღარ დაიჭერსო".

ბანკის კრებისთვის ცხრა მთას იქიდან გადმოდიან ჩვენი ქალები, ათი-თორმეტი დღე ალამბენ თეატრის დარბაზში, კინკლაობა და განხეთქილება

აქვთ ერთმანეთში: არა ჩემი პარტია სჯობიაო და არა ჩემიო. ნუ თუ გულით რომ მოეკიდონ ამ საქმეს და თავიანთ მიზნათ გაიხადონ საქალებო სკოლის დაარსება—თავისას ვერ გაიტანენ? წრეულს კრებაზე დაესწრენ ოთხასამდე ქალი, თითო ქალს რომ ხუთ-ხუთი ხმა მაინც ეშოვენა (ამბობენ, პარტიის ქალები ოცზე მეტს შოულობენ ხოლმეო) მერე ამისთანა კაი განზრახვისთვის, როგორც საქალებო სკოლის დაარსებაა, უთუოდ ამ საშვილიშვილო საქმეს გაიტანდენ და დააბოლოებდენ, მაგრამ ტყუილათ კი არ არი ნათქვამი: „რაც მოგივა დავითო, ქველა შენი თავითო“.

უმეტესი ნაწილი ქალებისა პირადს განზრახვას მოჰყავს აქ და როგორც კაცები, ქალებიც ისე დაწვრილმანებულნი არიან, მხოლოდ პარტიობას, მიმბაძაობას მისდევენ.

მაგრამ ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავთ, რომ ადრე თუ გვიან დაგვიდგება ეს სანატრელი ჟამიც, როდესაც ქალები დღეს ღამესთან გაასწორებენ თეატრის დარბაზში არა პარტიების დასაცველათ და შურის და მითქმა-მოთქმის გასაძლიერებლათ, არამედ მოინდომებენ თავიანთ ქვეყნის შველას, ძალას დაატანენ კაცებს ქართველი ქალების სკოლის დასაარსებლად და ადრე თუ გვიან აგვაცდენენ თავიდან გადარჯულებას.

ქალი.

## საყურადღებო ამბები

კვალის“ რედაქციას მოუვიდა შვეიცარიიდან შემდეგი დეპეშა:

„გულ-დათუთქულნი ვტირით ქართველი ხალხის უბედურების მხატველს ეგ. ნინოშვილს. ქართველნი, აქ მყოფნი, მწუხარე ცრემლს ვღვრით მისი უდროოთ დაკარგვისათვის.

ნოე ჟორდანია

***

20 მაისს სკოლის კრებაზე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა თ. ლ. მაღალაშვილმა უარი განაცხადა სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის თავმჯდომარეობაზე. საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა ხანგრძლივი სამსახურისათვის, და დააწესა, რომ თავმჯდომარედ სკოლის კომიტეტისა ამიერიდან ყოველთვის გუბერნიის სათავად-აზნაურო მარშალი იყოს ხოლმეო. შემდეგ სათავად-აზნაურო სკოლის კრებაში ერთხმად, დიდი ტაშის ცემით, აირჩიეს სკოლის კომიტეტის თავმჯდომარეს თანაშემწედ მარიამ ვახტანგის ასული კნეინა ჯამბაკურიან—ორბელიანისა და კომიტეტის წევრად თ. აკაკი წერეთელი, მაგრამ თ. აკაკი წერეთელმა მადლობა შეწირა საზოგადოებას პატივისცემისათვის და ავადმყოფობის გამო უარი თქვა. შემდეგ მ. ქ. ყიფიანმა წარმოთქვა, რომ თ. აკაკი წერეთელი საპატიო კომიტეტის წევრად აღრჩეულ იქმნას. საზოგადოებამ ერთხმად ტაშისცემით მიიღო ეს წინა-დადება. მერე კენჭისყრით აღრჩეულ იქმნა ხუთი წევრი სკოლის კომიტეტისა: რაფიელ ყაზიბეგი, ნიკოლოოზ ცხვედაძე, ილია წინამძღვრიშვილი, მიხეილ ყიფიანი და თ. ივანე მაჩაბელი.

***

იმ დროს, როდესაც ჩვენი საზოგადო ცხოვრება ორ დასად არის გაყოფილი და ლამის ერთმანმეორე მოინელოს, როდესაც ჩვენს მოწინავე თაობას გამწვავებული ბრძოლა აქვს დღიური ლუკმის გულისათვის, არ არჩევს მტერს მოყვარესაგან და ორივემ ერთმანეთი უნდა ჩაახრჩოს წყლის წვეთში, უცხო ქვეყნებში სულ სხვა წარმოდგენები აქვთ ჩვენის ერისა და ქვეყნის ვითარებაზე, მის აღლა-დიდებაზე. რაც დრო გამოდის, ისე უფრო მატულობს ჩვენი ერისა და ქვეყნის სიყვარული საუკეთესო უცხო ქვეყნელების წარმომადგენელთა გულში. ჩვენ კი ამას ყურადღებას არ ვაქცევთ, პირად ინტერესების ძიებაში ისე დავკუწმაწებულვართ, რომ ჩვენს გარშემო რა ჰხდება და რა ცეცხლია მოდებული, აღარ ვგრძნობთ. დაჰკა, მაგის ბრალიაო!—გავიძახით და მტერი რომ თავში გვიპირებს აუთის დაკვრას და ტვინის გაბნევას, ამ დროს ჩვენ მაინც ერთმანეთს კუნთებში ჩავფრენივართ და ერთმანეთს ფეხები გვინდა მოვჭამოთ. კაცი აღარ დარჩენილა მებრძოლ პარტიებს შორის, რომ ასეთს ჩვენს უმგზავსოებას ზიზღით ზურგი შეაქციოს და თვალი მიჰმართოს იქით, საიდანაც მოდის ჩვენკენ ძმობა, მეგობრული დახმარება და სიყვარული.

ამას წინად შვეიცარიაში მისულა ლონდონიდან ერთი ინგლისელი მეცნიერი ოლივერ ვორდროპი, რომელსაც ამ ექვსი წლის წინად საქართველოში უმოგზაურნია და ინგლისურად დაუსტამბავს წიგნი ჩვენი ქვეყნის შესახებ. მას შეუტყვია

ლონდონში ადრესი შვეიცარიაში მცხოვრებთ ზოგიერთ ახალგაზრდა ქართველთა და სხვათა შორის იმათაც გაცნობია. ეორდროპს თურმე ჰყავს 24 წლის და. „ამ ახალგაზრდა მანდილოსანს ისე კარგად შეუსწავლია ქართული ენა, რომ თავისუფლად კითხულობს და თარგმნის ქართულ თხზულებებს, წარმოიდგინეთ ძველ ხუცურ ხელთ-ნაწერებსაც კი, მაგალ. ტფილისიდან მიუღია ძველი ხელთ-ნაწერი რომელლაც წმინდანის ცხოვრება (მგონი, დიონისი არეოპაგელისა, დაბეჯითებით არ ახსოვს ოლივერს) და თარგმნას შეჰდგომია. აღნიაშვილის მიერ გამოცემული ზღაპრები უკვე გამოვიდა ინგლისურად. იბეჭდება და ჩქარა გამოვა „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“. თითო ცალი ღირს ოცი მანეთი (კარგათ წაიკითხეთ, ოცი მანათი). ნამეტანი მდიდრული გამოცემაა, რაღაც ფერადი ასოებით იბეჭდება. ამ ფასიანი გამოცემა იქნება მხოლოდ 250 ცალი. ესენი თითქმის ყველა წინდაწინ არის გაყიდული, ორ-სამ მინისტრებსაც უთხოვიათ ოლივერისათვის, უთუოდ მოგვიტანეთ, როგორც კი გამოვიდესო. ეს 250 ცალი უმაღლეს არისტოკრატიისათვის არის დანიშნული. უბრალო მკითხველებისათვის გამოვა იაფ-ფასიანი. ამას გარდა „ვეფხის ტყაოსანს“ თარგმნის. ნახევარი გადაუთარგმნია სიტყვა-სიტყვით, პროზად, შემდეგ ჰსურს გალექსვა. ოლივერის აზრით უეჭველად საჭიროა ლექსად დაიბეჭდოს; მხოლოდ მაშინ დააფასებს ინგლისის საზოგადოებაო, თუმცა გალექსვა ძალიან უჭირს თურმე.

„სიბრძნე-სიცრუის წიგნი“ გადმოუთარგმნია რუსულიდან (ცაგარლის გამოცემა) ოლივერს; მხოლოდ მის დას ქართულ გამოცემასთან შეუდარებია და შეუსწორ-შამოუსწორებია. თვითონ ოლივერმა ქართული არ იცის. ამ ერთი კვირის წინად ყაზბეგის თხზულებები მიუღია ტფილისიდან, გადათარგმნას აპირებს. ეს ახალგაზრდა ქალი საქართველოს ცხოვრებას ძლიერ ადევნებს თვალ-ყურს, გამოწერილი აქვს „ივერია“ და „მოამბე“ და ნატრობს, როდის ვეღირსები საქართველოს ნახვასო. ოლივერს თან ახლავს ახალგაზრდა სტუდენტი ოქსფორდის უნივერსიტეტისა, შვილი გერცოგის, დედოფლის ახლო ნათესავი. ამასაც აღძვრია სურვილი საქართველოს ნახვისა, სულ იმას მეკითხება: ქართული ენა ადვილი შესასწავლია, თუ ძნელიო? აქ დარჩებიან კიდევ სამ კვირას, შემდეგ უკან დაბრუნდებიანო“— იწერება ჩვენი შვეიცარიელი კორესპოდენტი.

* * *

ერთი მოსკოველი გაზეთი, სახელად „რუსული ცხოვრება“ იწერება: „ჩვენ გავიგონეთ, განკარგულება მოხდაო, რომ ძველი წმინდა ხატი, ჯვარი, სახარებები დ წიგნები, რაც კი მოიპოვება საქართველოს ძველს მონასტრებში, სულ საეკლესიო არხეოლოღიურ მუზეუმში უნდა გადიტანონ, ტფილისის სიონის საკრებულო ტაძართან რომ არისო. ვეჭობ, არსად ქვეყანაზე იმდენი ძვირფასი სახსოვარი ძველი მსოფლიო გონება-განვითარებისა და განათლებისა არ მოიძევებოდეს, რამდენიც არის კავკასიის აქეთა მხრის სხვა-და-სხვა კუთხეებშიო. გავიხსენოთ მხოლოდ გელათი და სხვა მონასტრებიო, რომელთა სალაროებში ინახება ძველი ძვირფასეული საღვდელთ-მოქმედო საგნები, მილიონებად საღირალიო. რაკი ყველა კავკასიის აქეთა მხრის მონასტრებიდან მდიდარი ნაშთი წარსული საუკუნეებისა: ძველი ხატები, მხატვრობა და მინანქრის ხელობა გადავა ტფილისს, მაშინ იქ მოგროვდება იმდენი სიმდიდრე წარსული ცხოვრებისა, რომ ქვეყანაზე უმდიდრესი მუზეუმი აღარ იქნება, რადგან მარტო გელათის მონასტრიდან გადიტანებენ იმდენ აუარებელს ძველ სახარებებს და წიგნებს მეცამეტე საუკუნიდან მოკიდებული მეთუთხმეტე საუკუნემდის, რაც ძველი შესანიშნავი მწიგნობრობის ნიმუში და მინანქრული ხელობა ყოფილაო“.

ჩვენ ამას დავძენთ, რომ გელათის მონასტერში არამც თუ მეცამეტე საუკუნის ნაშთებია, არამედ მეათე საუკუნიდან დაწყებული მეთვრამეტე საუკუნემდის დაჩნეული კვალი საქართველოს განათლებისაც კი მოიპოვება.

არ ვფიქრობთ, რომ ასე ადვილი და შესაძლო იყოს ამ წმინდა საგნების გამოტანა მონასტრებიდან და სხვაგან წაღება. მთელ საქართველოს ერისათვის გელათის მონასტერი წმინდა-წმინდათაა; იქიდან ძველი წმინდა წიგნებისა, ხატებისა, ჯვარისა და მინანქრის ხელობის, უწინდელ ქათალიკოსთა, მეფეთა გვირგვინებისა და შესამოსის გამოტანა ძნელი მოსახერხებელია. მთელი თუთხმეტი საუკუნის ქრისტეს სარწმუნოების ძალა საქართველოს ერს ამ წმინდა ადგილზე დაუკავშირებია. როგორც ქათოლიკებისთვის რომის წმინდა პეტრეს ტაძარია ხელშეუხებელი, სომხებისათვის ეჩმიაძინის მონასტერი, ისე ქართველებისათვის გელათის მონასტერია. იქიდან წმინდა ნივთებისა და სამკაულის გამოტანა ძალიან შეაძრწუნებს ჩვენი ხალხის გამოხატულებას, მის სარწმუნოებას. მთავრობამ ეს ძალიან კარგად იცის და არც ინებებს ასეთს მძიმე საქმეს. იმერეთის საღვდელოების მოვალეობაა საკმაო საბუთები მოიძიოს ამისთვის.

* * *

18 მაისს ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სხდომაზე გადაწყდა: მიეცეს სესხი სხვა-და-სხვა სა-

კრებულო დაწესებულებათა, მაგ. ქალაქებს, სოფლებს, საზოგადოებათა და საზოგადო დაწესებულებათა; გადაწყდა აგრეთვე, რომ მოქმედება ბანკისა გავრცელებულ იყოს ყარსში, დაღისტნის, ბათუმის, თერგის და ყუბანის მაზრებში, სტავროპოლის ღუბერნიაში, ზაქათალისა და შავი ზღვის პირის მხარეებში.

*
* *

,,კვალის" რედაქცია აპირებს ამ ცოტა ხანში გამოჰცეს შაურიანი სახალხო წიგნი ეგ. ინგოროყვას (ნინოშვილის) თხზულებისა, სახელად ,,განკარგულება", ავტორის ბიოგრაფიით და სურათით. ამ წიგნის გამოცემას ორნაირი მიზანი აქვს: ერთი, რომ ხალხს გავაცნოთ მისი ნაწერი და მეორე, რომ მისი შემოსავლიდან შევავსოთ ის ცოტაოდენი ფული, რომელიც ამ უკანასკნელს დროს მას მოხმარდა ესრედ წოდებულ სალიტერატურო ფონდიდან.

*
* *

8 მაისს ეგ. ნინოშვილის გასვენებაზე გაიმართა ს. ჩანჩეთს ხელის-მოწერა განსვენებულის ძმისწულის აღსაზრდელად, რომელიც სწავლობს ამ ჟამად ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში; სხვათა შორის მოაწერეს ხელი ,,კვალის" რედაქციამ — 10 მ., თ. ალ. ჩოლოყაშვილმა — 10 მ., გ. წერეთელმა — 3 მ., გრ. ყიფშიძემ 3 მ. და მრავალმა სხვამ, იქ დამსწრემ. იმედია ხელს მოაწერენ სხვა რედაქციები და განსვენებულის თანამგრძნობნიც.

ს. ჩანჩეთს დამსწრეთა გადაწყვიტეს, რომ განსვენებული ნინოშვილის ძმისშვილის აღსაზრდელი ფული როცა მოგროვდება, გაიგზავნოს ,,კვალის" რედაქციაში, რომელიც დაჭირვებისამებრ გაუგზავნის ხოლმე ოზურგეთს იმ ყმაწვილის ჭირისუფალს.

*
* *

ქუთაისში კვლავ ამოირჩიეს გუბერნიის მარშლად თ. ს. გ. წერეთელი 279 ხმის უმეტესობით 40 ხმის წინაამდეგ. მაზრების მარშლად ამორჩეულ იქმნენ თ. დ. ნიჟარაძე, შორაპნისა — უგანათლებულესი თავადი ა. ბაგრატიონი, გურიისა — თ. ს. გუგუნავა, რაჭისა თ. კ. ჯაფარიძე და სეკრეტრად ი. ჩხეიძე.

*
* *

იმერეთში საშინელი გვალვაა, ჯერ ყანები მესამედიც არ დათესილა. თუ ასე გაგრძელდა ამინდი, იმერეთს მოელის შიმშილობა. ამ ბოლოს დროს დასავლეთ საქართველოს დაუხშირდა გვალვიანი წლები. ამის მიზეზი უსათუოდ უნდა იყოს ტყეების გაჩეხა და რკინის გზის მიერ ლიხის მთის გაჭრა. მთა ღრუბლებს ვეღარ აჩერებს იმერეთისკენ, გადმოდის ქართლისკენ და წვიმებიც ხშირდება; ყოველმავე ამან უნდა ჩააგდოს გულისხმაში იმერეთის ხალხი და აფიქრებინოს სარწყავი არხების გაყვანა. მდინარენი ყვირილა, რიონი და ცხენისწყალი სარწყავ წყლებად უნდა გადიქცენ: ხალხმა საერთო მოქმედებით უნდა გამოიყვანოს რუები ყანების მოსარწყავად, თვარა ცუდათ არის იმერეთის საქმე.

## ჭიათურის რკინის გზის კურთხევა 15 მაისს

დიდი ხნის მოლოდინს შემდეგ გვეღირსა ჭიათურის რკინის-გზის კურთხევა. 15 მაისს, კვირას დილის შვიდი საათი იყო, როცა დ. ყვირილიდან შორაპანში გაემგზავრა საქონლის მატარებელი ორი სახალხო ვაგონებით, რომლებშიაც ისხდენ: სამღვდელოება, მგალობელთა გუნდი, რამდენიმე ინჟინერი და სხვა-და-სხვა პირები, უფრო ის პირები, რომელთაც აქვთ დ. ყვირილაში ქვა-გუნდის განყოფილებები. ყველა მიმავალს ჭიათურაში დიდი მხიარულობა ეტყობოდა და სულ ჭიათურის გზაზე ჰქონდათ ბაასი. ცხრა საათზე პარაკლისი გადიხადეს და შორაპნის სადგური აკურთხეს. შემდეგ გავემგზავრენით ჭიათურაში. სახალხო ვაგონეტკები შვენივრათ იყვენ მოწყობილი, რამოდენი გადახურულიც იყო, რომლებშიაც ისხდენ: დეკ. დ. ღამბაშიძე კრებულით, მგალობელთა გუნდი, ინჟინრები, რკინის-გზის სადგურის უფროსები და ბევრი სხვები. მატარებელი ძლიერ ჩქარა მიდიოდა, ოღონდ სადგურებზე გვაგვიანდებოდა, ჯერ იმიტომ რომ სადგურების კურთხევას მოუნდენ დიდხანს და მერე ორთქლ-მატარებლის წყლის მიმატებას უნდებოდენ, რადგან არ ჰყოფნიდა წყალი ერთი სადგურიდან მეორემდის. გზა შორაპნიდან ჭიათურამდის ძლიერ საშიშ ადგილებზე მიდის, ამისთვის თუ პირველად მოგზაურობს კაცი, ძლიერ შეშინდება; მაგრამ ამ შიშთან დატკბება ბუნების სიშვენიერით და სილამაზით: მაღალ-მაღალი მთები დაბურული ტყეებით, სოფელში ამწვანებული ვენახები ამწვანებულივე ბაღებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. ყო-

ველ ახალ სადგურზე ხალხი თანდათან გვემატებოდა.

აი, მიუახლოვდით ჭიათურას, გამოჩნდენ მაღალი შავი ქვით დაფენილი მთები, მასთანვე გამოჩნდენ შენობები. ვისაც არ ენახა ჭიათურა, დიდი დაკვირვებით ადევნებდა თვალს იქაურობას: ჰკითხულობდა, აბა, სად არის შავი ქვაო, ან სად უფრო ბევრიაო.

ხალხმა, რომლის რიცხვი აუარებელი იყო, დაინახა თუ არა მატარებელი, მორთო „ურას“ ყვირილი. იმათ სიხარულს ბოლო არ ჰქონდა. გაჩერდა მატარებელი სადგურთან. ჩვენ წინ წარმოგვიდგა შვენიერი დიდი მინდორი ნიგვზის (კაკლის) ხეებით დაბურვილი, გარშემო ამ დიდი მინდვრის მაღალი გაშავებული მთები, მოსახლეები და ბევრი დუქნები. პარაკლისსა და შენობების კურთხევას შემდეგ იყო გამართული სადილი მიპატიჟებულ სტუმართათვის, რომელთაც რიცხვი აუარებელი იყო. მუშა ხალხი და დაპატიჟებულნი დასხდენ სადილათ მინდორში კაკლის ხეების ძირში, მიპატიჟებულნი კი სადგურის წინ ისევ მინდორზე. ყოველი მხრიდან გაისმოდა კიჟინა და ყვირილი „მრავალ-ჟამიერისა“. ასეთმა სტოლზე მხიარულებამ გაატანა ორი საათი, თუ მეტი არა. მერმეთ გაიმართა ცეკვა-თამაში და ბურთაობა. საღამოს შვიდ საათზე მატარებლით ყველა უკან დავბრუნდით. ყოველ სადგურზე მხიარულათ გვხვდებოდა ხალხი. უკან რომ დავბრუნდით, იმათ „ურას“ ყვირილს და კიჟინას ბოლო არ ჰქონდა და ბევრი შუშხუნებიც აუშვეს ყველგან. ღამის თორმეტი საათი იყო სწორეთ, როცა ყვირილის სადგურზე გავჩერდით.

ს. ჯ—ლი

## ნ ა დ ს ო ნ ი დ ა ნ

წინასწარმეტყველს სულ ტყუილად ვეძებ მე
ძლიერს,
რომ გაიტაცოს საითკენმე მან ჩემი სული,
ვით ნიავღვარი ჩამორეცხილს მისგან შვენიერს
ყვავილს იტაცებს და მიშხუის აღქაფებული...
რაზედაც უნდა გადავაგო ჩემი ცხოვრება,
არ მენაღვლება... მივიღებ ჯვარს მძიმეს უდრტვინველად,
ოღონდაც გაჰქრეს მომწამლველი იჭვნეულობა
ჭ სდუმდეს გულში უგუნური კითხვა: „რისთვის, რად?..“
ტყვილად ვოცნებობ! აღარ ჰჩანან წინასწარმთქმელნი,
დაწვრილმანებულს ერს არ ძალუძს მათ დაბადება;
მხოლოდ ფხიზლობენ ავაზაკნი და მტაცებელნი
და ფეხებს იდგამს მტრობა, შური და მძულვარება;
თუ დარჩენია კიდევ ვისმე რწმენა მაღალი,
ის დაუღალავს ისე ფიქრებს, დევნას, წვალებას,
რომ ვერ გაიგებ გენიოსი, დიდი რამ ძალი
ამბობს მის პირით, თუ შთაუნთქავს მთლად სნეუ-
ლებას...

დუტუ მეგრელი

## ჩ ე მ ი თ ა ვ - გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი

სიკო წერეთელს ერთი გლეხი გადაუშენდა, უპატრონო ობოლი მოსამსახურედ გამოიყვანა. სოფელმა იწყინა და მოციქული მოუგზავნა: მიწა-წყალი თქვენია, საკომლოს რაც გნებავს ის უყავით, მაგრამ ობოლზე კი ხელი არა გაქვთ და დაგვიბრუნეთ, რომ ჩვენვე უპატრონოთ და გავათხოვოთო. ბატონმა, რასაკვირველია ყურადღება არ მიაქცია მათ თხოვნას. ერთ დღეს რაღაც უჩვეულო ხმაურობა მოისმა სახხერეში, გაიხედეს და დაინახეს, რომ ყვირილის პირათ ხვადაბუნები მოდებული იყო გლეხკაცებით, კალიასებ მოფენოდენ ქალებს, შემოვიდენ სახხერეში და შემოერტყენ ირგვლივ წერეთლის სახლს ყვირილით: ნუ ჩადიხართ უსამართლობას, გოგო დაგვიბრუნეთო. და როდესაც ბატონი გაუძალდა, გლეხებმა შეუყარეს კეტები ხის სახლს და სულ ჰრიჰინ-ჰრიჰინი დააწყევინეს. შეშინებულმა ბატონმა, დაუბრუნა გოგო და გლეხებმაც, სულ მაყრულითა და ვარხალალოთი წაიყვანეს თავის სოფლისკენ. იმ დროს, დიდი სვიმონ წერეთელი, სახუცის შვილი, მეფის სიძე, ღრმა მოხუცებული კიდევ ცოცხალი იყო; იწყინა ეს შეურაცხყოფა გლეხებისაგან, შეაკაზმინა თავის ლურჯი ბედაური (მთელ საწერეთლოში მისი ლურჯი ბედაური იმ დროს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმული იყო), შეჯდა და დაიძახა: „მდევარიო“. მაშინ ყველა მებატონეებს ბედაურებით საჯინიბოები გავსილი ჰქონდათ თვალის დახამხამებამდი გამოეწყვენ, შეეკაზმენ წერეთლის შვილები, თან იახლეს დაიარაღებული აზნაურიშვილები და გამოუდგენ გლეხებს. ხვადაბუნებში, ყვირილის პირად მოსწვდენ. გლეხებმა რომ დაინახეს იმაზე მიმავალი ცხენოსანი ჯარი, მობრუნდენ, მოიმარჯვეს ხელ-კეტები და დაეწყვენ რაზმებად. წამოდგენ წინ მოხუცებული გლეხები, მიეგებენ ბატონებს, დაუჩოქეს და მოახსენეს: ნუ იზამთ მისთანა უსამართლობას, რომელიც არც თქვენ ძველებს და არც ჩვენ ძველებს არ ჩაუდენიათო. ნურც თქვენ თავს გაგვამეტებიებთ და ნურც ჩვენ ამოგვწყვეტთ ცუდ უბრალოთო. ორივე მხარე მაგრათ იდგა. და ვინ იცის, რით გათავდებოდა საქმე, მაგრამ ამ დროს გაჩნდა მისი ჭაკი ცხენით, ოქროპირ ღედელი წერეთელი და ჩამოვარდა შუა კაცად: როგორ გეკადრებათ გლეხ-კაცების თავის გაყადრებაო!—მიუბრუნდა წერეთლებს, თავი დაანებეთ, მთავრობას შეატყობინეთ და ის გაცემს მაგათ თქვენ მაგიერ პასუხსო. მართლადაც გლეხ-კაცები ძალიან დასაჯეს, ზოგი დააპატიმრეს და ზოგიც გაგზავნეს. საკვირველი ეს იყო, რომ ეს ხალხი, რომელიც ჩხუბს უპირებდა შვენიერათ დაიარაღებულს ცხენოსან ჯარს, სრულიად დაემორჩილა, მხოლოდ ერთ ზასედატელს და ორ ყაზახ-რუსს. რა გაეწყობაო—ამბობდენ, ძალა აღმართს ხნავს, მტერმა რაც უნდა, ის გვიყოს, მაგრამ შინაურობაში კი წესსა და რიგს, ვერც ჩვენ გავტეხთ და ვერც სხვებს გავატეხინებთო. ამ გვარი მაგალითები ბევრი ყოფილა, მაგრამ სამინუშოთ ესეცა კმარა.

ბატონ-ყმობის დროს, ჩვენში ცემა-ტყეპა ძალიან იშვიათი რამ იყო, თუ გალახავდენ ხელით, ან მათრახით, ან ჯოხით, ისევ პატარა ახალგაზდა ფარეშებს, თორემ დავაჟკაცებულს არა. ამათ შესარცხვენათ საკმაო იყო პანღური და ცალი ულვაშის აწევა. როზგი ამ ბოლოს დროს შემოიღეს, თორემ ადრე ქართველებმა მისი სახელიც არ იცოდენ. აი, რა გამიგონია, მამიჩემისა და ბიძიჩემისაგან. 1830 წ. ქუთაისში შეკრიბეს იმერეთის თავად-აზნაურობა, რომ მარშალი აერჩიათ. იმ თავად-აზნაურებში ერთი თურმე კაპიტანი მიქელაძეც ერია, რომელსაც სუყველა ერიდებოდა. ზემოურებს თურმე გაუკვირდათ ეს და ჰკითხეს ქვემოურებს: რა მიზეზია, რომ მაგ დარბაისელს კაცს პირს არიდებთო.—მეტი რაღა მიზეზი უნდაო—უპასუხეს—ქვემოურებმა, რომ ეგ დალოცვილი, წამოაქცევინებს გლეხ-კაცებს, ჩაახდევინებს და სულ ისე რუსულათ აროზგვინებსო. ზემოურებმა რომ ეს გაიგონეს, იმათაც ზურგი უჩვენეს ათვალწუნებულ ვაჟბატონს.

ჩვენ ოჯახში მახსოვს, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, რომ კაცი დაესაჯოთ. და, აი, ერთი იმათგანი. ერთხელ სოფლიდან გამოვიდა მოხუცებული გლეხი და შეევედრა მამაჩემს: შენი ჭირიმე, ეგება მიშველოთ რამე, შვილი გამიმუტრუკდაო. ნაქართლი გახლავსო. როცა იქ მიდიოდა, გვარიანი ჭკუიანი ბავში გახლდათო, ახლა იქიდან რომ დაბრუნდა, ჭკუის ნიშან-წყალიც აღარ ეტყობაო. ჩაუცვამს რაღაც ქაჯურათ, იპრანჭება და სამუშაოთ ხელს აღარ ანძრევსო. ამან ყოვლიფერმა კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ ერთი მისთანა საქმე ჩაიდინა, რომ ოჯახსაც თავი მოჭრა და ჩვენ სოფელსაცო: საჯაროთ ყბაში სილა გაარტყა დედაკაცსაო; საბრალო ჩემი რძალი, წყალში გადავარდნას აპირებდა, რო ჩვენ არ დაგვეჭირაო.

მამაჩემმა გამოაყვანინა ნაქართლი ბიჭი, რომელმაც რაღაც ახირებულათ დაუწყო მუსაიფი ბატონს: კნიაზს გაუმარჯოს—უთხრა ბატონს. ბატონს გაუკვირდა და ცივათ უპასუხა: შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი კნიაზიცა. ე, რას დამგვანებიხარ, რა ნაირათ ჩაგიცვამს?

— როგორ, თუ რა ნაირათ კნიაზ? ჩვენი ადათი ესე გახლავს.

— როგორ თუ თქვენი? სადაური?

— ქალაქური. მე გეურქ ალასთან ვიყავ ქარვასლაში. იქ ყველანი ასე იცმენ!

— კი, მაგრამ ეგ ქუდი რო განზე მოგიქცევია და მარტო ნახევარზე გახურავს, ნახევარმა თავმა რაღა დააშავა?

— ეს ანჩისხატური გახლავს.

— ეგ კოპლებიანი ქამარიც ანჩისხატურია? წვეტიან ჩექმებზე რო შემდგარხარ, თითო ტკაველა რიკი მიგიცია ქუსლებისათვის და შენ საკუთარ სიმაღლეს რო აღარ ჯერდები, გინდა ცაც მოატყუო და დედამიწაც?

— ესეც ადათი გახლავს, კნიაზჯან.

— ადათი! ჰმ! მაშ ისიც ადათი ყოფილა, რომ შენ დედაკაცი გაგილახავს?

— ვისი დედაკაცი? მე ჩემ ცოლსა ვცემე.

ამ მუსაიფს მოსამსახურეები ყურს უგდებდენ, უკვირდათ და თავის ქნევით ილიმებოდენ. ერთხანს ბატონსაც ეცინებოდა, მაგრამ ბოლოს ველარ აიტანა მისი უზრდელი სიტყვა-პასუხი და დაიღრიალა.—სტაცეთ ამ წუწკს ხელი, ბიჭებო! მოხადეთ ქუდი, გააძვრეთ ჩოხა, შემოხსენით ეშმაკის კოთხოებიანი ქამარი, გახადეთ ფეხს და მიაკარით ხეზეო. მოსამსახურეები მიცვინდენ და სიამოვნებით ახრულეს

ბატონის ბძანება. ბოლოს ბძანა ბატონმა, რომ სამოახლოდან გამოსულიყვნენ გოგოები, სათითაოდ მისულიყვნენ მასთან და ეთქვათ: ფუი, შეგირცხვა წვერ-ულვაში, რომ დედაკაცსა სცემო, ეს რო გაათავეს, ბძანა, რომ ხელშეკრული გაეყვანათ წყალგაღმა, იქ გაეხსნათ მისთვის ხელები, პანლური ეკრათ და გაეგდოთ. ეს ამბავი, ძალიან ეწყინა დედაჩემს, რო გაიგო და უსაყვედურა ქმარს, როგორ იქნება მაგრე გაკიცხვა კაცის და შერცხვენაო. ცხადია, რომ სულელია და მაგითი ეგ ჭკუას მაინც ვერ ისწავლისო. ამაზე მამაჩემმა ესა ჰთქვა: მაგის ჭკუას მე რას დავეძებ, მაგრამ სამაგალითოთ დავსაჯე, რომ სხვებიც არ გაბრიყვდენ სოფელში და პრანჭიობა არ დაიწყონო.

აი, ასეთი იყო სახე იმ ოჯახისა, სადაც მე სოფლიდან მიმიყვანეს.

აკაკი

(შემდეგი იქნება)

## მოგზაურობა შვეიცარიაში

### IV

მიწა აქ კერძო საკუთრებას შეადგენს. მთელ შვეიცარიაში ვარგისი მიწა ითვლება ხუთ მილიონ ნახევარი აკრი და განაწილებულია 258, 639 მესაკუთრეთა შორის. *) თანასწორათ რომ ჩამოურიგოთ, თითოეულს შეხვდება არა უმეტეს 22 აკრისა; ეს ციფრი, რასაკვირველია, სინამდვილიდან ძალიან დაშორებულია. ერთი ღარიბია, მეორე მდიდარი. ერთს ნაკლები მიწა-ადგილი აქვს, მეორეს ბევრი. მხოლოდ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ საზოგადოდ წვრილი მესაკუთრეებია, ადგილ-მამულის კონცეტრაცია, მცირე რიცხვთა ხელში მოგროვება, როგორც ინგლისში, საფრანგეთში და სხვ. არ არსებობს. მაგრამ თანამედროვე ეკონომიური წყობილება და მისი ულმობელი კანონები ისეთი ძლევა-მოსილია, რომ მის წინაშე ყველა ერი ქედს იხრის. რაც მოწინავე სახელმწიფოებმა განვლო, ის მხოლოდ სარკეა დანარჩენებისათვის. შვეიცარიის ცხოვრებაც ამ ბოლოს დროს სხვა გვარ მიმართულებას ღებულობს. საკუთრება თან-და-თან იყოფა და წვრილმანდება, რის გამო ვიწროობა და სილატაკე ფეხს იკიდებს. მეპატრონეს ასე დახურდავებული მიწა ვერ აკმაყოფილებს და იძულებულია ფულის პატრონს მიყიდოს; თვითონ კი ქალაქში, ან უცხოეთში ეძიოს ლუკმა პური. **) იშვიათი სანახავია ისეთი გლეხი, რომელიც ქალაქში დასახლებას არ ნატრობდეს. ამისათვის უძრავი ქონებაც შეძლებულთა ხელში გროვდება. ამას მიაქცია ყურადღება მთავრობამ და ყოველსავე ღონეს ხმარობს მის შესაფერხებლად. ზოგ კანტონში დააკანონეს მიწის გაუყოფლობა 200—400, ოთხ-კუთხ საჟენამდე. აქედან ცხადია, რანაირად დაწვრილმანებულა მამული. მეორე მხრით, კანონ-მდებლობა ცდილობს ისეთი საშვალებები იხმაროს, რომ მიწა არ შეიქნას პატრონის ტვირთათ; მაგ. მიწა თავისუფალია ყოველივე გადასახადისაგან (სახემწიფო) და ყიდვა-გაყიდვა ძალიან გაადვილებულია. უკანასკნელ შემთხვევაში ბაჟი 7% არ აღემატება. ამ ფულის მეტი ნაწილი იმავე კანტონის სასარგებლოდ მიდის. (მოვაგონებ მკითხველს, რომ აქაური მთავრობა პირდაპირ ხალხის მიერ ირჩევა). თუმცა სხვა-და-სხვა კანტონს სხვა-და-სხვა დებულება აქვს მიწა-ადგილის შესახებ, მაგრამ ყველა ამათ ერთი აქვთ საერთო: შეზღუდოს დიდრონი მამულების მოგროვება კერძო პირთა ხელში. შვეიცარიაში ძლიერ ეჯავრებათ უზარმაზარი ფერმები; მისი ჰაზრით ყველას საკუთარი საყოფი ნაჭერი მიწა უნდა ჰქონდეს, ეს მისი იდეალია. ამისათვის ძალიან უფრთხილდება თავის მარჩენელ დედა-მიწას, სულ შიგ ჩაკირკიტებს. ამ ნიადაგზე არის აშენებული შვეიცარიის თავისებური ცხოვრება და პოლიტიკური წყობილება. წვრილი მემამულე, წვრილი მექარხნე წვრილი მოვაჭრე—აი, რით შედგება შვეიცარია. მაგრამ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ცხოვრების მიმდინარეობა აქ არ ჩერდება. ის უკვე შედგა კაპიტალისტურ განვითარების გზაზე. ამ ჟამად ამ ორ პრინციპთა შორის საშინელი ბრძოლაა, რომელიც საშინაო პოლიტიკაშიაც გადადის. ერთი მხრით მძლავრი ლტოლვილებაა ცენტრალიზაციისა, კანტონთა თვით-მართველობის შეზღუდვისაკენ; მეორე მხრით კანტონი იბრძვის თავის უფლებისათვის ჯერ-ჯერობით ძველი დედა ჰაზრი იმარჯვებს. ხალხმა ყოველთვის უარყო ცენტრალური მთავრობის ჩარევა კანტონთა საქმეში. მაგალითად თითოეულ კან-

*) ამ წერილში მოხსენებული ციფრები გამოკრეფილია სხვა-და-სხვა ოფიციალურ წყაროდან, უმეტესათ, „Journal d'Agriculture Suisse“

**) განსაკუთრებით ამერიკისკენ მიისწრაფიან. მაგ. შარშან 6,000 გადასახლებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონს თავისი დებულება აქვს წვრილი ქარხნების და სახელოსნოების შესახებ. ფედერალურ „კავშირმა“ (Chambre fédérale) გადაჰწყვიტა: ამ საქმეში საერთო წეს-რიგს დაემორჩილოს ყველა კანტონებიო. ეს სარჩიელი წარუდგინა ხალხს კენჭის საყრელად და წელს დიდი უმრავლესობით გაშავებულ იქმნა. ამ მხრით საყურადღებოა ისიც, რომ დასავლეთი შვეიცარია უფრო კონსერვატორულია, ვინემ აღმოსავლეთი. ამის მიზეზი ის არის, რომ უკანასკნელ ნაწილში წარმოება და აღებ-მიცემობა, მაშასადამე კაპიტალისტური წყობილება, უფრო განვითარებულია.

ამასთანავე აქ არის მამულის საერთო მფლობელობაც. მთელ შვეიცარიაში ითვლება:

სახელმწიფო ტყე—81,945 აკრი
კერძო „—573,040 “
საზოგადო, ანუ სასოფლო „—1,299,075“

ამ სახით ტყის საერთო მფლობელობას და სარგებლობას, დიაღ, ალაგი უჭირავს. ტყის მნიშვნელობა და რიგიანად მოხმარება დიდი ხანია შეგნებული აქვთ. მე-XIV საუკუნეში ციურიხის მთავრობამ აღკრძალა ტყის ჩეხა და ყიდვა. მე-XVI საუკ. ბერნმა დააკანონა წეს-რიგი ტყის სარგებლობისა. ამ საუკუნის დასაწყისში ფედერალურ მთავრობამ („კავშირმა“) პირველად მიაქცია ყურადღება ამ საქმეს და დაარსა სატყეო სასწავლებელი (1855). ამას კანტონებმა ცუდად შეხედეს, რას გვერევა ჩვენს საქმეშიო. მაგრამ რაკი ტყის ფასმა აიწია და ნიაღვარი ანადგურებდა ხევებს, „კავშირმა“ ისარგებლა ამ შემთხვევით და 1874 წ. ხელთ იგდო უფლება ზედამხედველობისა, ტყის გაშენებისა და სხ. მხოლოდ მაშინ განაწესეს ტყის განსაკუთრებითი ზედა-მხედველები და მათი თანაშემწეები. ახლა ტყის საქმეს განაგებს ცალკე დეპარტამენტი, ზოგ კანტონში (ური, აპენცელი და სხ.) ტყის გამგე კომიტეტი თვით ხალხის მიერ ირჩევა.

ზოგ ალაგას საერთო სამფლობელოს შეადგენს როგორც ტყე, აგრეთვე საბალახო, მაგ. ვოს კანტონში, სოფელ არსიერში. აქ არის ნაშთი ძველებური მიწადფლობელობისა (ახლა დარჩენილა რუსეთში, ინდოეთში, და სხ.). ამ სოფელში საბალახოს აქირავებენ და შემოსავალს თანასწორად იყოფენ. ტყის შემოსავლით კი ისტუმრებენ გადასახადს, ერთ წელიწადს 80 ფრანკზე ემეტი რგებოდა თითო კომლს. საზოგადოდ, სასოფლო ტყის სარგებლობა ისე კი არ არის მოწყობილი, რომ ვისაც უნდა შევა და გამოზიდავს. ეს საქმე ჩაბარებული აქვს მხოლოდ განსაკუთრებულს კომიტეტს, (ხალხის მიერ არჩეულს) ან სასოფლო საბჭოს (Conseil communal). შემოსავალი „კომუნის“ დახლში მიდის: აქედან იხარჯება სასოფლო საჭიროებისათვის, როგორც მაგ. სკოლა, გზები, (რკინის ან ელექტრონის) და სხ., რაც გადარჩება, ხალხს ურიგებენ, ან მომავალ ხარჯ-აღრიცხვაში შედის.

ერთ სოფელში ამ ნაირად სარგებლობენ ტყეს: ის გაყოფილია რამდენმე ნაჭრებად. პირველ წელიწადს პირველ ნაჭერს სრულიად კაფვენ, შემდეგ ხნავენ და თესვენ ზედ ტყეს. მეორე წელიწადს მეორე ნაჭერს მიდგებიან, მესამე წელიწადს მესამეს და ასე, სანამ გათავდება. ბოლოს ხელ-ახლა პირველიდან დაიწყებენ, რადგანაც ამ ნაჭერზე უკვე ამოსული და მოშენებული იქნება ტყე. როგორც გავიგე ამ გვარ წესს მხოლოდ აქა-იქ მიდევენ. საზოგადოდ ტყის ხელოვნურად გაშენებას დიდი ალაგი უჭირავს მთელ შვეიცარიაში.

საზღვარ-გარეთელი

(შემდეგი იქნება)

---

## ყ ა ჩ ა ღ ი

(მოთხრობა)

### VI.

მელქისედექ მანუჩარის ძე ღიპაძე ერთი კეთილ-შობილი ოჯახის შვილი იყო. როგორც შეძლებულმა პირმა, ცხონებულმა მანუჩარმაც ღიმნაზიაში მიაბარა თავისი პატარა მელქო; მაგრამ მელქო ღიმნაზიაში დიდი ხანი არ დარჩენილა. მეოთხე თუ მეხუთე კლასიდან გამოვიდა და სამხედრო სამსახურში შევიდა. დღეს ორმოც-და-ათის წლისა იქნება. ამ ხნის განმავლობაში თუ ჯამაგირის შენახვით. თუ გასესხებ-გამოსესხებით და გადამალვით დღეს მელქო „ფულიან“ კაცების დასში ირიცხება. მამა-პაპეული ადგილ-მამული ერთი ათად გახადა, დღემდის თუ წინააღმდეგი იყო ცოლის შერთვისა, დღეს თვითონ ეძებს საცოლოს, მაგრამ ვინ უნდა წაყოლოდა სიძუნწით გავეშაპებულს მელქო ღიპაძეს? მისი გარეგანი შეხედულობა, გასივებული, თითქოს ფუტკრებისაგან დაკბენილიაო, გოდორა თავი, მსხვილი, დასისხლიანებული თვალები, უაზრო, ნამდვილი სულელური სახის გამომეტყველება, არამც თუ ლამაზ არსებას—ქალს მოეწო·

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებოდა, არამედ კაცებიც პირველ შეხედვით ზურგს მიუშვერდენ და ემალებოდენ. მელქო, როგორც გამოჩენილი მემამულე და ფულიანი კაცი, ხშირად დადიოდა ვახტანგის ოჯახში. ვახტანგი იმდენად დავალებული იყო მელქოსაგან, რომ თუმც გულით ხიფათისაგან. ორი ათასი მანეთი მისცა და დღეს ეს ფული ათი ათასზე მეტი გაიზარდა.

ერთხელ, როდესაც ვახტანგი და მისი მეუღლე მარტო ისხდენ და მუსაიფობდენ—ლაპარაკი ჩამოაგდეს მელქო ლიპაძეზე.



ახალციხელი მანდილოსანი

არა, გარეგანი გრძნობით მაინც დიდის ალტაცებით ღებულობდა, და თავის ცოლ-შვილით დიდს პატივს სცემდა. რევიზიის დროს მელქომ დაიხსნა ვახტანგი

ვახტანგ, არ იქნება ცუდი, რომ ჩვენი სალომე ლიპაძეს მივათხოვოთ. კაცი დიდი შეძლებული, სამსახურიდან გამოსული პოლკოვნიკი, თვალ-

ტანადაც არა უშავსრა, და გვარიშვილობით ხომ კეთილ-შობილი და აზნაურია. მაშ რითი უნდა დავიწუნოთ?!,

— ეგ კარგი აზრი მოგივიდა, ჩემო კარგო, მაგრამ ახლა სალომეს ჰკითხე: ისურვებს გაყოლას თუ არა? უარი რომ გვითხრას, მაშინ რაღას იზამ?! უთხრა ვახტანგმა.

— უარი რას ჰქვია, ვინ ათქმევინებს უარს. მე ვიცი და იმან. შენ თანახმა ხარ თუ არა?—უთხრა ცოლმა.

— მე სრულიად თანახმა ვარ. რატომ არ ვიქნები, ჩემო კარგო, ხომ იცი ათი-ათასი მანეთი!!?..-

— ვიცი, ვიცი, ფიქრი ნუ გაქვთ.

მეორე დღეს მელქოსთან კაცი გაგზავნეს. ეს ყველაფერი აცნობეს და მელქო სიხარულისაგან ალტაცებაში იყო. თუმც მელქოს დიდი ხანია, რაც სალომეზე ეჭირა თვალი, რაც მის სილამაზით და მეოჯახობით იყო მოჯადოებული, მაგრამ გამოქვეყნებას ვერ ბედავდა: ვაი თუ უარი მითხრან მშობლებმაო, თვარა სალომეს ხომ არც-კი ეკითხებოდა. დღეს მელქო სრული ბედნიერია. ვახტანგის ცოლმა, მომავალ სიდედრმა, დაარწმუნა, რომ სალომეს გაგიჟებით უყვარხართ, რომ თქვენს მეტი საქმრო მას არ მოწონებია და კიდევაც გადაწყვეტილი აქვს თქვენი გამოყოლაო. მეტი ბედნიერება მელქოსათვის არ იყო საჭირო. ეს ხომ კაცის მხრით ასე მოეწყო საქმე. ახლა საჭირო იყო სალომე დაეთანხმებია, ეშმაკურ სიტყვებით მოეყვანა თავის ჭკუაზე და მელქისედეკ ლიპაძის გაყოლის სურვილი გამოეტყუებია. სალომეს დედინაცვალი ღამე და დღე სულ ამაზე ჰფიქრობდა.

სალომე! დროა შენ გათხოვებაზე ვიფიქროთ. აგერ 19—20 წლისა შეიქნები. ვარდი სანამ კოკობია და ნორჩი, ყველასათვის უფრო სატრფიალო და სათაყვანოა, თვარა როდესაც გადიშლება და მკრთალი ფერი გადაჰკრავს,—მერე წასულია მისი საქმე. ქალიც ისეა; სანამ ყმაწვილი ხარ და სიცოცხლე გიდუღს ძარღვებში—ეცადე გათხოვდე, ისიამოვნე დროებითი სიყვარულის სიტკბოებით, თვარა როდესაც ჩემოტელა მოიყრები, საქმროებიც ცოტა გეყოლება, მოტრფიალე ყმაწვილების რიცხვიც იკლებს და მაშინ გლოვა და წუწუნი უადგილო, უმნიშვნელო იქნება. ეუბნებოდა ჩაგონებით სალომეს თავისი დედინაცვალი.

— მე უარი თქვენთვის არ მითქვამს და საყვედურიც არ მეკუთვნის, რომ მითხრათ.—მიუგო სალომემ.

— მე მსურს ვიცოდე შენი აზრი, თანახმა იქნები თუ არა ჩვენ ამორჩეულ საქმროს წაყოლაზე?

— მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ჩემთვის ცუდს არ ისურვებთ და არც დახშავთ ჩემში აღძრულ სიყვარულს და პატივისცემას იმ პირისადმი, ვისაც ჩემი გული ეთაყვანება.

— შენ, ჩემო სალომე, ვგონებ დღესაც გყავს სულის სატრფიალო.

— არა, მე სრულებითაც არავინა მყავს.

— მაშ მე და მამაშენმა გადავწყვიტეთ: შენ მელქო ლიპაძეს უნდა მიგცეთ.

— ვის? ლიპაძეს?!.. სალომემ თვალები შეაჩერა, გაშტერებით დააცქერდა თავის დედინაცვალს და აღელვებულ გულის ძგერით რამდენიმე წვეთი ცხარე ცრემლი გაეკრა მაყვალივით შავი თვალების წამწამებში და უცებ შევარდა თავის ოთახში. სალომეს დედინაცვალი თან შეჰყვა:—სალომე! ნუ თუ ეს სიტყვები ასე საწყენია? ნუ თუ ჩემმა სიტყვებმა აგატირა?

— დედა, წავყვე და ვის? მელქო ლიპაძეს, რომელიც მთელ ქვეყანას სძულს და მეც თვალის დასანახავათ მეზარება?! ნუ თუ ქალი მარტო მიტომ მიყვება კაცს, რომ არჩინოს და ჩააცვ-დაახუროს. ნუ თუ ერთმანეთის უსიყვარულოთ, სიძულვილით შეიძლება ადამიანთან ცხოვრებით კავშირი?! ვინ მე და ვინ მელქო ლიპაძე? მე ახალგაზდა ქალი მძებნელი, ცხოვრებაში სიტკბოებისა, მეგობრობისა, ხანგრძლივი სიამოვნებისა, ის კი მოხუცებული ძუნწი, გასივებული და მთლად სიცოცხლის სიტკბოებას მოკლებული?!!

— მართალია, შვილო, ის თვალ-ტანად არ არის ზოგიერთი ყმაწვილ-კაცებისთანა, მაგრამ შეისმინე, ჩემო ანგელოზო, მილიონი ღირს მისი მამული, პირველი მებატონეა ამ ჩვენ მხარეში. შენ ხუმრობ მის ცოლობას? უთხრა დედინაცვალმა.

— კი, დედა, მაგრამ რამდენათ ძვირფასი ადგილ-მამულის და შეძლების პატრონია, იმდენათ საზიზღარი, პირ-მყრალი ადამიანია ლიპაძე. ნუ თუ მე შემიძლია იმ გვარ კაცს ცხოვრებაში დავუკავშირდე, რომელსაც ერთი თანამგრძნობი, ერთი მეგობარი არა ჰყავს??!

— შენი სიტყვები, სულ მარტო უმნიშვნელო ფრაზებია, ჩემო სალომე. შენ ჯერ გამოუცდელი ხარ. ლიპაძე დიდი შეძლებული კაცია. მისი ადგილ-მამული და ფულად-ფული მილიონამდის ადის. შენ როდესაც მისი ცოლი გახდები, შეგიძლია ქმარი შენს ნებაზე აცხოვრო. რასაც ეტყვი—შენი მონა იქნება. მთელი მისი ქონება შენს ხელში იქნება. ის, როგორც ხნიერი, მოსვენებას მიეცემა და შენი ქვეშევრდომნი იქნებიან ტურფა მოალერსე ყმაწვილები. ის მხოლოდ სახელით იქნება ქმარი და ტრფიალება სხვასთანაც შეგიძლია. დიდი ხნის არც სიცოცხლე ექნება და თუ გადაიცვალა, ხომ შენს ბედს

ძალლი არ დაჰყეფს. როგორც შეძლებულ ქვრივს, აბა, ვინ არ მოგიტაცებს?! ასე, ჩემო სალომე, ჩემი სიტყვები დაიჯერე და მერწმუნე არ წააგებ.

— კარგი, ვნახოთ—უთხრა მოწყენილი სახით სალომემ და მამის ოთახისკენ გაექანა. კარები გაალო თუ არა, წინ ორი უცხო ადამიანის სახე დაუხვდა და უცებ შემოტრიალდა უკანვე.

ვახტანგ ქარქვეტაშვილის ოთახში სავარძელში იჯდა თვითონ ვახტანგი და თავზე ადგენ ილიკო და მამა მისი თედო გარდახვეწილაძეები. რაღაც აღელვებული სახით ეჩურჩულებოდენ ერთმანეთს. ილიკოს დანახვაზე სალომეს სიწითლე მოეფინა სახეზე და სიყვარულის გრძნობები ყელში მოებჯინა. იმან მთრთოლვარე სახით უთხრა დედინაცვალს.

— დედა, აი, გამოდი, შეხედე ილიკოს და მის მამას! რა ვაჟ-კაცი ყოფილა.

— ვინ ილიკოა?—უთხრა დედინაცვალმა.

— ვინ და ჩემი დახრჩობისაგან დამხსნელი და მისი მამა ყაჩაღი თედო გარდახვეწილაძე.

სალომეს დედინაცვალი ადგა, მივიდა კარებთან და ცოტად გამოღებული კარების ჭვრიტიმალაში დაიწყო ჭვრეტა.

ორთავე დედა-შვილი დიდხანს ჰტკბებოდენ ილიკოსა და მამა მისის ვაჟ-კაცური შეხედულობით.

## VII

ღამის ათი საათი იქნებოდა. ვახტანგ ქარქვეტაშვილი და მისი მეუღლე ანასტასია ისხდენ კაბინეთში და რაღაც მუსაიფში იყვნენ გართულნი. გვერდით, სელის სკამზე, ცოტა მოშორებით ვახტანგისა, იჯდა ადგილობრივი პრისტავი ივანე მუმლაძე და მათ მუსაიფს დიდი მოწიწებით თვალ-ყურს ადევნებდა. მხოლოდ დრო გამოშვებით, თანხმობის ნიშნათ, თავს დაუქნევდა და კრძალვით მოახსენებდა:—კი. ბატონო, ვეცდები ეგ არის ჩემი ხელობა, ეგ თუ ვერ მოვახერხე სხვა რაღა შემიძლია.

— შენ, ჩემო ივანე, გიტყდები, და იმედიც გვაქვს, რომ როგორც დღემდის დაგიფარავს ჩვენი საიდუმლოები, ისე ამასაც დაფარავ, განაგრძო ანასტასიამ. სალომემ მოგვჭრა თავი, შეარცხვინა მთელი ვახტანგ ქარქვეტაშვილის ოჯახი, სახელი და გვარიშვილობა. ეგებ, შენც გაიგე, ვიღაც გლეხის შვილი შეიყვარა და არაფრის გზით მისი გაყოლა ვერ გადავათქმევინეთ. ბედი კარზე მოგვადგა, ოღონდ მაგის თანხმობა იყო საჭირო, მერე ვინ თხოულობს? ჩვენი ღიპაძე, გამოჩენილი გვარიშვილი, მდიდარი მებატონე. შეხედე ჩვენს უბედურებას, რა ნაირად ვგიხდება საქმე.

— ეს, ბატონო, დიდი ხანია რაც ვიცოდი, მაგრამ თქვენ ვერ გაგიბედეთ გამჟღავნება, უთხრა ივანემ.

— მერე, რატომ დაფარე, ნუ თუ ეგ იმედი გვქონდა შენი?

— მაგას რატომ მიბძანებთ? თქვენი მოწყალებით ვარ ფეხზე დამდგარი, გაბედნიერებული, და ხალხში გამოჩენილი? მაგას რათ შეუწუხებიხართ აგრე? ვიღაც გლეხი ბიჭის მოშორება რა დიდი საქმეა ჩემთვის!!?

— არა, ჩემო ივანე, ძალით შენ იმას ვერას უზამ, იგი თავზე ხელ-აღებული კაცია, ვინ იცის, რას არ გაბედავს. ეგებ, კიდევაც მოგკლას, მას ჭკუა არ დაუშლის.

— ბატონო, იმის მოშორება ჩემს კისერზე იყოს, ოღონდ თქვენ ღიპაძესთან საქმე მოახერხეთ. ილიკოს ისე დაუხლართავ საქმეს, ეგონოს სიზმარიაო, ჰთქვა ივანემ.

ივანე მუმლაძე ერთი იმ პოლიციის მოხელეთაგანი იყო, რომელსაც თავის დაწინაურების, ჯიბის და ნაჩალნიკის სიამოვნების მეტი არაფერი აგონდებოდა. თუ რაიმე საიდუმლო, ან საძნელო საქმე იყო, ნაჩალნიკი უსათუოდ ივანეს ანდობდა და დარწმუნებულიც იყო მის ხერხიანობაში.

— მაშ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ილიკოს ჩამოგვაშორებ, ერთ ხმათ უთხრეს ივანეს ორივე ცოლ-ქმარმა.

— ჩემს თავზე იყოს, ბატონო, მისი გაქრობა ჰთქვა ეს ივანე პრისტავმა.—ორთავე ცოლ-ქმარს კრძალვით თავი დაუკრა და გამოსვლას დაემზადა.

— აბა, ივანე, შენ იცი და მერე შენი საჩუქარი ჩემს კისერზე იყოს—გული გაუკეთა ვახტანგმა და ხელი მისცა.

— ვეცდები, თქვენი ჭირიმე!—დაატანა ივანემ და გაშორდა.

ივანე ნაჩალნიკის სახლიდან შინ აღარ დაბრუნებულა, პირ-და-პირ ს. ტყემალეთში წავიდა, სადაც გამოცდილი მამასახლისი სპირიდონა დეკანოიძე ეგულებოდა. სპირიდონა ახალი ჩამოსული იყო კახეთიდან, სადაც პატარაობიდანვე ცხოვრებდა და ერთს მამულის მეპატრონეს მებაღეთ ყავდა ზვარებში. იქიდან ჩამოსვლის მეორე წელიწადსავე აირჩიეს მამასახლისათ და დღეს თითქმის მეთუთხმეტე წელიწადია, რაც საზოგადოებას ემსახურება. ამ გვარი ხანგრძლივი სამსახური სპირიდონას ნიჭიერ მმართველობას მიეწერებოდა, თუ უფრო მის მოხერხებულ მოქმედებას თავის უფროსების წინაშე—ამის რა მოგახსენოთ; მხოლოდ ეს კი ხშირად გვინახავს, რომ ივანე პრისტავი ყოველ მამასახლისის ამორჩევის დროს ყრილობაში ხალხს წინდაწინვე ასე უქადაგებდა: „თქვენ დღეს მამასახლისი უნდა აირჩიოთ.

მამასახლისად მარტო მართალი კაცი არ ვარგა. სიმართლესთან ცოტა-ცოტა გამოცდილება უნდა ჰქონდესო; ამასთან თუ მოხერხებაც ექნება, ხომ უკეთესი. თქვენ, ძმებო, ყოველ წელიწადს გინდათ ახალ-ახალი მამასახლისები მოგვცეთ; მაგრამ ახალი მამასახლისი პრისტავისთვის ერთი და იგივეა, რაც ახლად ანბანის დამწყები ბავში სკოლის მასწავლებლისათვის. ყოველთვის სასწავლებლათ და საჩიჩინებლათ შემექნება და აქ, ხომ იცით, როგორც თქვენი, ისე უფრო სახელმწიფო საქმეების დაბრკოლებაა. მაშ ეცადეთ, რომ ისევ ძველი მამასახლისი აირჩიოთ, როგორც უფრო გამოცდილი და შეთვისებული ყოველ მართებლობის მოთხოვნილებასთან.,, ამ გვარი ქადაგებით სპირიდონა ხშირად ირჩეოდა მამასახლისათ. ის ძალიან გავარჯიშდა სოფლის საზოგადოების მაზრებში თავის სასარგებლოთ, ასე რომ სოფელი მხოლოდ ამისთვის არსებობდა და არა ეს სოფლისთვის. იმ ღამეს სპირიდონა სიხარულით ფეხზე არ იდგა, რადგან ასე მოულოდნელათ თავისი საყვარელი პრისტავი ეწვია.

ნავახშმევს ივანემ მოუწოდა სპირიდონას ცალკე ოთახში და ჰკითხა:

— სპირიდონ! იცი, რაზე ვარ მოსული?

— არ ვიცი, შენი ჭირიმე.

— ერთი ისეთი საქმე უნდა მოვახერხოთ, რომ ვერც ცამ გაიგოს და ვერც დედა-მიწამ. ისე უნდა მოვიქცეთ, არც მწვადი დავწვათ და არც შამფური.

— რა არის, შენი ჭირიმე, რა უნდა იყოს ისეთი, რომ ჩვენ ვერ მოვახერხოთ. მაშ ტყუილად ვარ თხუთმეტი წლის ნამსახური?

— თედო გარდახვეწილაძეს იცნობ?

— როგორ არა, თქვენი ჭირიმე! მის ახალ აკოკრებულ ქალსაც კარგად ვიცნობ, ბატონო, დაამატა სპირიდონამ ულვაშებში გაღიმებით.

— არა, მის ქალს არ გკითხავ, ჩვენ თედოსთან და მის შვილ ილიკოსთან გვაქვს საქმე.

— კი, ბატონო, მარა თედოს ხსენებაზე, მისმა ქალმა უნებურათ გამახსენა თავი. აი, დედასა, ცოდვა არ არის მისთანა გაფურჩქნული ვარდი იმ გვარ ეკლებში იყოს ჩასმული.—ჰთქვა მამასახლისმა და გაიქნია თავი.

— იცი, სპირიდონ, ილიკო და მისი მამა თედო ისეთ რამე ხიფათში უნდა გავხვიოთ, რომ ამ სოფლიდან თუ არა, საუკუნოთ დროებით მაინც მოვიშოროთ.

— კი, ბატონო მე მზათ გახლავარ, რასაც მიბძანებთ, აღვასრულო—მიუგო სპირიდონამ.

სპირიდონა ისე გატაცებული იყო ილიკოს დის სიყვარულით, რომ ის გარჩევაში არ შესულა, თუ რა მიზეზია, რომ ილიკოს და მის მამას ასეთი სასტიკი სასჯელი მოელის...

— მაგრამ იცი, მამასახლისო, მე მთელი ღამე არ მიძინია, სულ ილიკოსა და მამამისზე ვფიქრობდი. ბოლოს ასე გადავწყვიტე.

— რა, ბატონო? ბძანეთ, შენი ჭირიმე:

— თქვენში დედა-ღვთისობა იციან. თემში თედო და მისი ოჯახობაც გამოერევა, რადგან მისი ცოლი ამ სოფლის არის და უსათუოთ დაესწრება თავის სოფლის დღესასწაულს. შენ ნაბძანები გვექნება ჩემგნით და რამდენიმე ყოჩაღი, თითქმის თავზე ხელ-აღებული კაცები წაიყვანე და თემში წესიერების დამყარების დროს, განგებ ჩხუბი აუტეხე თედო გარდახვეწილაძეს. თედოს უსათუოდ შვილი ილიკოც დაეხმარება და მართალიც რომ იყვენ, ორივენი გაქაჩე, ოქმი შეუდგინე და გაბაწრული ჩემთან წარმოადგინე. შემდეგ მე ვიცი მათი ალაგი.

— თქვენი შუბლის ჭირიმე, რა ხემწიფური მოსაზრება გავს.—აღტაცებით მოახსენა პრისტავს სპირიდონამ.

— შვენიერი აზრია, ბატონო, და კიდევაც ადვილი შესასრულებელია.

— მაშ აწ შენ იცი, როგორ მოხერხებით აასრულებ ამ საქმეს, ჩემო სპირიდონ,—უთხრა მამასახლისს ივანემ და უგზო-უკვლოთ გაჰქრა.

(შემდეგი იქნება)

თარხანი

---

# მარტვარქა

ამ პირუტყვზე ბევრს რასმე საკვირველებას ლაპარაკობდენ ჩვენი ძველები. დღემდისაც დარჩენილია ხალხში ეს ამბავი, რომ მარტორქის რქა იფარავსო კაცს ყოველნაირ ეშმაკეულობისაგან: თვალის ცემისაგან, გალალვისაგან და ანაყოლისაგანო. ინდოელები ამტკიცებენ, რომ მარტორქას რომ რქა მოხერხო და მისაგან თასი გააკეთებინო, ვეღარავინ მოგწამლავსო. რა საწამლავიც უნდა ჩაასხა შიგ, მაშინვე შიშინს დაიწყებს თასი და პატრონს შეატყობინებს, რა უბედურებაც ეწია მის თავსაო. მარტორქა ცხოვრებს ინდოეთში და აფრიკის ქვეყნებში, ცხვირზე აქვს ამოსული არშინ ნახევარი სიგრძე მსხვილი რქა. ისეთი სქელი ტყავი აქვს, რომ ტყვია ვერ გაატანს და ზედ მიეტყლიჭება.

დღისით წევს წუმპიან ლექში და ბუზანკალებს თავს არიდებს. საღამოთი გამოდის ტალახით შემურული და საზრდოობს ნარ-ეკლით და ხის ძირებით, რომელსაც ამოთხრის მიწიდან, როგორც ღორი ჩიცებული ზნე, თავს არიდებენ. მარტვარქა საკვირველი მიყვარულია თავისი შვილებისა. ნახატი წარმოადგენს მარტვარქას თავისი ხბოთი, რომელიც დედას მოშორებია და ამ დროს ვეფხს დაუჭერია.



მარტვარქა.

ჩქნის მიწას თავის დინგითა. მარტვარქა სიგძით ორი საჟენია, სიმაღლით ერთი საჟენი და ძალით სპილოს არ ჩამოუვარდება. ვერც ლომი, ვერც ვეფხი მას ვერ შეებრძოლება და რაკი იციან მისი გამხეხბოს ბღავილზე გამოქანებია გამწარებული დედა შვილის დასაფარავად. ზედვე ეტყობა, რომ ვეფხი შეშინებულა, აპირებს მსხვერპლის თავდანებებას და გაქცევას.

# † ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გადაცვალების გამო.

(სიტყვა თქმული სილ. ჯიბლაძის მიერ)

## მესამე დასის პროგრამა

როგორც წინათაც იყო ჩვენ გაზეთში აღნიშნული, ნინოშვილის დასაფლავებაზე შეგროვდა მესამე დასი ახალგაზდობისა, რომელმაც ძალიან გარკვევით აღნიშნა თავის სიტყვებში პროგრამა აწინდელი მოქმედებისა. ბევრი სიტყვები წამოითქვა და იმათი სიტყვები სულ ხელში გვაქვს, მაგრამ ამათგან ჩვენ საჭიროდ ვცნეთ დავსტამბოთ მხოლოდ ორის ახალგაზდას სიტყვა, რომელთა აზრებში თვალსაჩინოდ და სრულად იხატება მესამე დასის ახალგაზდობის მისწრაფება და მისი იდეალი. ერთი პირადი მეგობარი ამათგანი ეგ. ნინოშვილისა—სილიბისტრო ჯიბლაძე, რომლის ხელზედაც მოკვდა ჩვენი ახალგაზდა ბელეტრისტი და მეორე—დარჩია—ქიზიყელი ახალგაზდა, წლოვანების შესაფერად კარგა მომზადებული თავის პროგრამისთვის.

„მწარე ხვედრი გვარგუნა შავმა ბედმა. ცუდი, მეტად ცუდი სამსახური, მეტად ბოროტი დედინაცვლობა გაგვიწია წასული წლის დასასრულმა და აწმყოს დასაწყისმა. ეს ორი წლები თითქოს გამოეჯიბრენ ერთმანეთს თავიანთ ბოროტ-განძრახულობაში: აბა, რომელი ჩვენგანი უფრო რჩეულ სხვერპლს ამოიღებს ნიშანში ქართველთა ერის საზოგადოებრივ მებრძოლთა რაზმიდანაო, რომელი უფრო ღონივრად მომართავს და დასცემს მას გულში მომაკვდინებელ ისარსაო? რომელმა ამ წელთაგანმა უფრო გაიმარჯვა, ე. ი. რომელმა უფრო დაგვამარცხა, ამაზე ლაპარაკს აქ ადგილი არა აქვს. აშკარაა მხოლოდ, რომ ამ ორმა წელმა გამოაცალა ჩვენს სამშობლოს ხელიდან ორი სამაგალითო შვილი, ჩვენს მწერლობას—ორი უნიჭიერესი წარმომადგენელი. ეს ორი დასაკლისი—ალ. ყაზბეგი და ეგ. ინგოროყვა—ჩვენს ღარიბსა და გათახსირებულს მწერლობაში მეტად საგრძნობელი და უზღვეველია. ეს სულმნათნი არსებანი არაფრით არ გვანდენ იმ კალმოსანთა გროვას, რომელნიც მხოლოდ თავმოყვარეობას ან პატივ-მოყვარეობას გამოუყვანიათ სამწერლო ასპარეზზე და არა ჰუმანურ გრძნობებს. ინგოროყვა და ყაზბეგი იმ სიმპატიურ მწერალთა გუნდს ეკუთვნიან, რომელთათვის მწერლობა არსებითი ბუნებრივი მოთხოვნილებაა, ჰაერია, რომლითაც სუნთქვენ და ცოცხლობენ. კალმათ ისინი თავიანთ საკუთარ ნერვებს ხმარობენ, რომელსაც საკუთარსავე სისხლში აწებენ, თავისსავე გულის ფიცარზე სწერენ. ამ გვარ საზოგადო მოღვაწეებში იშვიათის ჰარმონიით არის მოთავსებული სამი დიდი ძალა, რომელიც ჰქმნის კაცს უნაკლულო ადამიანად: გონებითი, ზნეობითი და მოქმედებითი. თავიანთი საღი, ფხიზელი ჭკუა-გონებით მხოლოდ ერთს რასმე ეძებენ—ჭეშმარიტებაა მისი სახელი; გონებით ნაპოვარს ცხოვლისა და ნაზი გრძნობით ათბობენ—ამ გრძნობას ციურს, უმანკო სიყვარულს ეძახიან; ნაგრძნობს კი ასისხლ-ხორცებენ დაუშრეტელი შრომითა და ენერგიით. ასეთი ვარსკვლავები იშვიათი მოვლენაა სამწუხაროდ ჩვენს ცხოვრებაში. ნაცვლად, საზოგადოდ, კაცობრიობის, და კერძოდ, სამშობლოს წარმატებაში, წინ მსვლელობაში მხოლოდ ასეთ მადლიან ადამიანებს აქვთ უტყუარი ფასი და მნიშვნელობა. ესენი არიან გმირნი, ესენი არიან მაღალ-სულოვანნი, მეომარნი, ესენი იბძვიან და ამ ბძოლაში ყველაფერს ხედვენ, ყველაფერი გათვალისწინებული აქვთ გარდა თავიანთ პირად ინტერესებისა. ამისთვის რამდენათაც ეს უცხო ქმნილებანი სულით იზდებიან და ყვავიან, იმდენად ხორცით სნეულდებიან და ჭლექდებიან: მწარე ცხოვრების ღვიძლი შვილები, ისინი ტრიალებენ ამავე ცხოვრების შუა გულში, მედგრად ებძვიან სიბნელეს, უკაფვენ გზას, აშუქებენ სინათლეს, ამცირებენ ცრემლებს და აღორძინებენ სიხარულს ჩვენს უბედურ ქვეყანაზე“. მერე რას აძლევს მათ ცხოვრება სამაგიეროდ?., ორ-სამ ღერ ფიცარს კუბოსათვის, ორ-სამ ადლ მიწას ცივი სამარისათვის... არც ჩვენ თანამედროვე მწერლობას ეხერხება ამ გვარ მუშაკთა ღირსეულად დაფასება. ამისთვის საჭიროა ფხიზელი კრიტიკა, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ გაუშლია ჩვენში ფრთები. ეს ცუდი ნიშანია, რადგანაც ლიტერატურა ცხოვრების სარკეა და პირველის სიღატაკე შედეგია ცხოვრების სიბეჩავისა. მაგრამ ახლოა დრო, ჩვენდა სანუგეშოდ, ჩვენის ცხოვრების გამორკვევ-გამოფხიზლებისა. ეს გარემოება, ეჭვი არ არის, გამოიწვევს საღ პირუთვნელ კრიტიკასაც. მაშინ, იმედია, თვითეულ საზოგადოებრივ მოღვაწესაც დაედება შესაფერი ფასი და პატივი, მაშინ ღირსეულად იქნებიან ცნობილნი ჩვენი ინგოროყვა და ყაზბეგიც.—ინგოროყვას კუბოს წინაშე ყაზბეგზე ლაპარაკი უადგილოდ არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ამ ჩვენ ორ მამულის შვილთა შორის, როგორც ზევით ვთქვით, თვალსაჩინო მსგავსებაა: ორივე თანაბარ უღელს ეწეოდენ, ორივე მეტად მგრძნობიერ ბარომეტრს წამოადგენდენ ჩვენს ცხოვრებაში, შესანიშნავი სიმართლით გვისურათ ხატებდენ ყოველგვარ მცირეოდენ ცვლილებასაც კი ჩვენი საზოგადოებრივი ატმოსფერისა. ორნივე თავის სამოქმედო ასპარეზს ინათებდენ ღრმა

ისტორიული იდეიებით. ყაზბეგმა მაგ. საოცარი ხელოვნებით დაგვიხატა, თუ რა შედეგი აქვს დიდს, ძლიერი ერის მიერ პაწაწინა ერის პოლიტიკურად დამორჩილებას, როგორ იდრიკება და ირყევა უკანასკნელის ზნე-ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება, როგორ იცვლება მისი დამოუკიდებელი მაჯის ცემა. ეს იდეია—დედა აზრია, რომელიც წითელი ძაფივით არის გატარებული ყველა მის შრომაში და რომელიც უკვდავად ჰქმნის „ელგუჯას“ ავტორს. მაგრამ ჩვენ, ბრმა დილეტანტები ვერ ვამჩნევთ ამ წითელ ძაფს. ეს არის მიზეზი, რომ ყაზბეგი ცნობილია ჩვენში თუმცა ნიჭიერ, მაგრამ ვიწრო ეტნოგრაფ-ბელეტრისტად,—ეგნატე ინგოროყვაც იმ ღრმა ისტორიული ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობდა. ის ნათლად ხედავდა, როგორ გვიქრება ხელიდან ის მაღალი ჩინური კედელი, რომლითაც თავს იცავდა წინათ სხვა ერთა ზნეობრივ გავლენისაგან თვითეული ერი, როგორ შემოკლდა სივრცე, დაფუძვნდა მტკიცე კავშირი და ურთიერთული ზედ გავლენა სხვა-და-და-სხვა ერთა შორის. ეს იყო მიზეზი, თუ რად გასცქეროდა ეგნატე დასავლეთ განათლებულ სახელმწიფოებთა ყოფა-ცხოვრების ახალ მიმდინარეობას. მას კარგათ ესმოდა, რომ ჩვენისთანა პაწაწინა ერი ვერ აცდება დიდ ერთა შორის მოვლენილ ცვლილებათა და მიმდინარეობათა ნაშხეფს. მან შეუგნო კიდევაც თავი ამ მიმდინარეობის ერთს ნაწყვეტს, რომელიც ჩუმად, თითქოს ქურდულად, დგამს ფეხს ჩვენს ცხოვრებაში. ვიწრო პატრიოტულ ფარგალში მოტრიალე უმეტესი ნაწილი ჩვენი ძველი თაობისა ჯერ ვერ ამჩნევს ამ ღირს-საყურადღებო მოვლენას; შემდეგ კი, როცა ეს მოვლენა ცხოვრებაში ღრმა კალაპოტს აკეთებს და ყველასათვის თვალსაჩინოდ ხდება, ეს ძველი თაობა ბევრ ტყვია-წამალს ხარჯავს მის დასამარცხებლად. ძველს აზროვნებაზე აღზრდილთ, არ ეხერხებათ ცხოვრების ახალ მნიშვნელობის თვისებებისა და მათგან გამოწვეული იდეიების შეგნება. ეს არა სანატრელი გარემოება საშინლად უშლის ხელს კაცობრიობის წინ-მსვლელობას. ამის მაგალითებით სავსეა თვით მოწინავე ერთა ცხოვრება. მოვიყვან ერთ მაგალითს ჩვენი ცხოვრებიდან ეგ. ინგოროყვას მიმართულების დასახასიათებლად. ეს მაგალითი ნათლად დაგვანახვებს აგრეთვე, როგორ ეფარება ძველი თაობის თვით უნიჭიერეს წარმომადგენელის გონებას ერთხელ თუმცა დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ აწ უკვე დახავსებული და უალაგოდ ცნობილი იდეა.—დიდათ პატივსაცემმა ავტორმა „ოთარაანთ ქვრივისამ“ შეუქცია ზურგი აწინდელ ჟამთა ვითარებას და მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში გვითითებს უკვე გადაცვლილ ჭეშმარიტებაზე: ხიდია ჩატეხილი, ხიდია ჩატეხილი თავად-აზნაურთა და გლეხთა შორისო, გაიძახის ის, აქ დიდი სიმრუდეა. ცხოვრებაში ბევრი მოვლენაა, რომელიც ჩვენ, ჩვეულებრივ მომაკვდავთათვის, გაუგებარ საიდუმლოებად რჩება, მაგრამ კესო—არჩილების მსგავსი ტიპების შენიშნვა თვით გლეხთა წოდებაშიაც, როგორც „გიორგების“ თავად-აზნაურთა შორის—არავისთვის არავითარ საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს. აწინდელ ცხოვრების ახალმა მიმდინარეობამ უკვე ამოსილა, გაასწორა ყოფილი ჯურღმული—უფსკრული ორივე წოდებათა შორის, შერეკა ორივე ერთს ბანაკში, აუგო წესი ძველ ბატონ-ყმობას და მის ნაცვლად ამოაცურა ახალი, დროთა-ვითარების მიხედვით, არა ნაკლები სამარცხვინო და სათაკილო. ჩვენი ახალი ბატონი ის ნივთიერებაა, რომელსაც ფულს ეძახიან. ამ ახალი კერპის გახურებულ თითებზე იხრაკება შეუბრალებლად ურიცხვი მსხვერპლი, მის წინაშე იდრეკენ მუხლს ძველი ყმაცა და ბატონიც, მის უდაურ უფლებაში გადადის ყოველგვარი შრომის იარაღი და აქედან ყველა შრომის წარმომადგენელნი, მის ყურმოჭრილ მონად ხდება—თვით მეცნიერებაც კი. ამ ახალმა ბატონ-ყმობამ კარგი ხანია დაამთავრა ზრდა მოწინავე ერთა შორის, სადაც საშინელი ბრძოლა გამოიწვია. ჩვენში კი, თუმცა ის ახალდაბადებულია, ბავშია, მაგრამ სამაგიეროდ ეს ბავში საუცხოო თვისებისაა—შესანიშნავის სისწრაფით იცის ზრდა. ამაში გვარწმუნებს სტატისტიკური ცნობები ჩვენი მეზობელთა ერის ცხოვრების.—ამ ნაირად ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალ, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით—ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით—მუქთა-ხორა, ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი—დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, რად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგი ხანია ჩატეხილიცაა; აი, სად ირღვევა უფსკრული და ბევრგან კარგი ხანია გარღვეულიცაა. ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთის მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ჟამთა-ვითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღვწიან და უნდა იღვწოდენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი თაობისა. ამ ახალ კვალზე დადგომა აშკარად ეტყობა ჩვენს ახალს „კვალსაც“.—ეს ჭეშმარიტება შეიგნო და მისკენ ჰქონდა მიმართული თავისი ქნარი ჩვენს შესანიშნავს ნიჭის მქონე ინგოროყვასაც. ამის ნიშნებს ვხედავთ მის მოთხრობებშიაც, მაგ. „სიმონაში“ და პოლემიკურ სტატიებში. მაგრამ

უფრო ნათლად და გარკვევით აქვს ეს იდეია გატარებული ერთს გძელ პუბლიცისტიკურ წერილში, რომელიც ეჭვი არ არის, ამ მოკლე ხანში იქნება დასტამბული.

ფართო შეხედულობისა და იშვიათის ენერგიის პატრონი ნინოშვილი ვერ კმაყოფილდებოდა ერთ მხრივსა და ვიწრო ფარგალში ტრიალით—მარტო ბელეტრისტული მოღვაწეობით. განსვენებული ემზადებოდა ახალს - კრიტიკულ და პუბლიცისტურ—ასპარეზზედ გამოსვლას. ვინც დაახლოვებით იცნობდა მის საუცხოო ნიჭს, მის გონების სიმახვილეს, კარგად შეუძლია წარმოიდგინოს, რა ღვაწლსა და სამსახურს გაუწევდა ის ჩვენ მწერლობას ამ ახალს ასპარეზზედაც. საკითხავი მხოლოდ ის არის, საიდამ შეითვისა ამ კაცმა თავისი სალი შეხედულობა, რომელ წყაროდან მოიპოვა სიმპატიური ცოდნა-განათლება? პასუხს ამ საკითხავზე უნდა ვეძებდეთ მხოლოდ მის უჩვეულებრივო ბუნებაში, მის საარაკო სულის ძლიერებაში. ყველა გარემოებანი, რომელნიც ცნობილნი არიან ჭკუა-გონებისა და გრძნობის ნორმალურ აღსაზრდელად, პატარაობიდანვე საშინელს მტრობას უწევდნენ ამ მწარე ბედის ადამიანს. რადგან მისი სუსტი აგებულობა თოხითა და ბარით ვერავის ანუგეშებდა, მშობლებმა მისცეს თავის ნიჭიერი ბავში ერთ ჩვენს დაბალ სასწავლებელში. მაგრამ ამ დაბალ სასწავლებელმა მართლა რომ დიდი სულმდაბლობა გამოიჩინა თავის საუცხოო მოწაფის წინაშე. ორ წელს შემდეგ განაძევა თავის კედლებიდან და მით აღმოუხოცელი დანაშაულობა, მიუტევებელი ბოროტება ჩაიდინა თავის სამშობლოს წინაშე. ყოველთვის საოცარი წყურვილით მიმდევარი სწავლა-განათლების, განსვენებული თავ-განწირვით ებრძოდა ყოველგვარ დაბრკოლებას ამ მხრივ, მაგრამ ამაოდ. სამარცხვინო ბეჭედმა, რომელიც პირველადვე დაჰკრეს მის შუბლზე, დაუშო მას ყველა სკოლის კარები, ერთი-ღა სკოლა დარჩა მას—ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საზოგადოება, ის საზოგადოება, რომელსაც არამც თუ არავისი კეთილსა და ჭეშმარიტ გზაზე დაყენება არ ეხერხება, პირ-იქით მზადაა, თუ ვისმე მასზე შემთხვევით ფეხი შეუცდა, უკუ-ატრიალოს და ჭუჭყსა და ლაფში გასვაროს. ეს ადრე შეიგნო ეგნატემ.. ეგნატე გაჰქრა სადღაც.. თავის სამშობლოსაგან დევნილმა სცადა დაკარგის პოვნა უცხო ერთა შორის. მაგრამ შავმა ბედმა აქაც უმუხთლა. ულუკმა-პურად დარჩენილი სამი თუ ოთხი თვის უკან ისევ თავის დედინაცვალს დაუბრუნდა. დედინაცვალმა ახლა კი მკაცრად ჩასჭიდა ბასრი ბჭყალები თავის სხვერპლს, გადუშალა თავის ბოროტი მკერდი და ჩააყურყუმელავა თავის კუპრის მორევში. მაგრამ... მაგრამ დასაღრჩობათ არ იყო გაჩენილი ეგნატეს ძლიერი სული... საოცარია! ეს მოუმზადებელი და უიარაღო ადამიანი ვერავითარმა ტანჯვა-წვალებამ, ვერავითარმა ძალამ ვერ შეაკავა გამოეფონა და გამოფონა კიდეც ამ საზიზღარ მორევიდან, როცა რომ ბევრნი, მომზადებული და სწავლა-განათლებით აღჭურვილი გვამნი, ახალი თუ ძველი თაობისა ამ მორევს ამცდარნი, ისევ მისაკენ მიიმართებიან და კისრულით გადადიან შიგ სამარცხვინოდ და ქვეყნის საზარალოდ!.. აი, ამ უბრალო უიარაღო ადამიანმა გამოცურა ხმელეთზე, გაჰკაფა ბნელით მოცული ეკლარი, გავიდა ნათელ და მტკიცე გზაზე, აქ გაიშრო, აქ გაშალა თავისი ღონიერი ფრთები და იწყო თავისი მოუსვენარი ნაყოფიერი მუშაობა.

არ იყო, ძმაო, ხანგრძლივი შენი ამ გზაზე მსვლელობა. მუხთალმა ცხოვრებამ დაარღვია ბოლოს შენი უამისოდაც დასუსტებული აგებულობა და, აჰა, დღეს შენი მუდამ მოძრავი, მუდამ მოუსვენარი გვამი მისცემია რაღაც საშინელ საიდუმლო უძრაობას. ჭეშმარიტების მღაღადებელნი ბაგენი შენნი დადუმებულან, ვიწროობის შეურიგებელი, ახლა მოთავსებულხარ ამ ვიწრო ბინაში, დაგიტოვებია შენი ბრწყინვალე სარბიელი და მომზადებულხარ შავი სამარისკენ გამგზავრებას!.. საქელი და დიდება იმ შენი მშობლის მკერდს, რომლის ტკბილმა ძუძუმ ჩანერგა შენში ზეციური მადლი! მშვიდობა მაგ შენს გვამს, ჩემო სასიქადულო მეგობარო! შენ მიდიხარ და იპოვი ახალს ბინაში ტკბილს, მყუდრო მოსვენებას, რომელიც ვერ იგემე ამ უკუღმართ წუთისოფელში. ჩვენ კი... ჩვენ კი გვიტოვებ შენს ნათელს სულს ფარნად ამ ბნელ ცხოვრებაში... მშვიდობით!. მშვიდობით... მაგრამ არა, ჯერ ნება მომეცი უკანასკნელად მოვიდრიკო მუხლი შენ წმინდა ნაშთის წინაშე...

ახლა კი მივუბრუნდები სამშობლოს იმ ორგულთა, რომელნიც ერთგულთა სახელით მოღვაწეობენ კანონიერის მოქმედების ნიღაბ ქვეშ, მივუბრუნდები იმ ჯალათებს, რომლებიც ნესტარით ჩხვლეტენ შენს წმინდა ტანს და მარწუხით ხელში ემუქრებიან შენს წინასწარმეტყველურ ენის ამოწვდას, იმ ენის, რომლის ბასრი მწვეტი ლახვრად ესობოდა მათს სულსა და გულს!.. სად არიან ის ერთგულნი დარაჯნი ამ მათთვის სანეტარო ჟამს? სად იმალებიან, რატომ არ გამოიჩენენ მათს საზიზღარ ძალას ამ უკვდავის გვამის წინაშე?!. ვიმეორებ რატომ არ ჩნდებიან ისინი ამ დროს, როცა თავისუფლად შეუძლიათ აღისრულონ მათი უწმინდური სურვილი და ბოროტი მუქარა?!! მაგრამ რას ვამბობ?! იმათ უკვდავთან რა ხელი აქვთ?.. ისინი მხოლოდ ლეშით ძღებიან და დაე გაძღენ!..

აწ კი მშვიდობით, დაუვიწყარო მეგობარო...“

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

## ტფილისის ქალაქის საკრედიტო გამგეობა

აცხადებს, რომ ვისაც ჰსურთ ტერასატუროვის მამული, რომელიც ერივნის მაიდანზე, სომხის ბაზრისა და ტალახის ქუჩებზე მდებარეობს და დღეს საკრედიტო ბანკის გამგეობის ხელშია, იჯარით აიღონ, შეუძლიათ წერილობითი განცხადება შემოიტანონ ზემოხსენებულს გამგეობაში ყოველ დღე 11 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე ამ წლის პირველ ივნისამდის.

Доз. цен. Тифлисъ, 19-го Мая 1894 г. სტამბა მ. დ. როტინიანცისა. Тип. М. Д. Ротиніанца., Гол. пр., д. № 41